პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

30 მაისი, შაბათი, 1987 წ.
№ 105 (9516) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე

ორი ლიდერი

ამ ტურნირზე შეჯიბრების დღევანდელ მონაწილეთა გარდა სხვადასხვა წლებში გამოსულან: კუბის, შვეიცარიის, იტალიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ესპანეთისა და ჰოლანდიის გუნდები. თბილისელ გულშემატკივრებს საზღვარგარეთის ოერთმეტი გუნდის თამაში უნახავთ, ამერიკელთა ნაკრები კი პირველად ასპარეზობს ჩვენთან და ამიტომ მისი გამოსვლა თბილისელთა დიდ ინტერესს იწვევს, თუნდაც იმიტომ, რომ ოდინდელი წარმატებების შემდეგ გუნდი შეუპოვრად მიიწევს წინ. ამას ადასტურებს ორიოდე კვირის წინათ ათენში გამართული მსოფლიოს თასის გათამაშება, სადაც აშშ-ის გუნდმა მეოთხე ადგილი დაიკავა. ასპარეზობის პირველ დღეს, აშშ-ისა და რუმინეთის გუნდების შეხვედრის შემდეგ, ამერიკელ წყალბურთელთა უფროსს მწვრთნელს პიტერ სნაიდერს გავესაუბრეთ.



● თქვენი გუნდის გამოსვლა წყალბურთის მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევს. თბილისში საუკეთესო გუნდი ჩამოიყვანეთ?

— არა, ეს ჩვენი მეორე ნაკრებია, თუმცა მის შემადგენლობაში არიან ის წყალბურთელებიც, რომლებიც ხშირად პირველ ნაკრებში გამოდიან.

● თბილისის ტურნირმა რით მიიქცია თქვენი ყურადღება?

— საქმე ის არის, რომ აშშ-ის ნაკრებს იშვიათად ეძლევა სოციალისტური ქვეყნების წყალბურთელებთან თამაშის შესაძლებლობა. მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, დავასახელებ იუგოსლავიის, უნგრეთისა და საბჭოთა გუნდებს, რომლებიც უძლიერესნი არიან.

იხ. მე.2 გვ

ჰავანის თასი— თბილისელ ოსტატს

სინქრონული ცურვის ოსტატი, თბილისის 25-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელი ხრისტინა ფალასანიდი („კოლმეურნე") წარმატებას წარმატებაზე აღწევს, ახლახან კი კიდევ ერთხელ გაგვახარა — მორეული კუბიდან ჰავანის თასით დაგვიბრუნდა.

ჰავანის თასის ღია გათამაშებაში ექვსაინძლელთა გარდა ბულგარეთის ორი გუნდი და ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრები მონაწილეობდნენ.

— სინქრონული ცურვის კუბელ ოსტატთა გუნდი მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესია, — გვითხრა ხრისტინას მწვრთნელმა ნატალია მაშუკმა. — ბევრმა უცხოელმა სპორტსმენმა, მათ შორის საბჭოთა ნაკრების წევრებმა მათგან ბევრი რამ ისწავლეს. ორიოდე წლის წინათ ჟურნალ „სოვეტსკაია ჟენშჩინას" პრიზზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც მეტად პრესტიჟულ ასპარეზობად ითვლება, სწორედ კუბელმა ტერეზა პერესმა გაიმარჯვა, მაგრამ ახლა ვითარება იცვლება. ამაში ხრისტინას წარმატება გვარწმუნებს.

ჰავანაში პერესმაც იასპარეზა. იგი უძლიერესი იყო ეგრეთწოდებულ „სკოლაში", სადაც მეორე ადგილი თბილისელმა სპორტსმენმა დაიკავა, მესამე ადგილზე კი ელექტროსტალელი ვერა არტიომოვა გავიდა.

ერთეულთა თანრიგში უძლიერესი ფალასანიდი აღმოჩნდა. ლენინგრადელმა ელენა დოლაჟენკომ მეორე ადგილი დაიკავა. ფალასანიდიმ და დოლაჟენკომ წყვილთა თანრიგში ყველას აჯობეს. ამრიგად, თბილისელმა სპორტსმენმა შეჯიბრებაზე ყველაზე უკეთესი შედეგი აჩვენა.

„დინამო" ითამაშებს უეფა-ს თასზე

გუშინ ფეხბურთის მრავალი მოყვარული რედაქციაში და გვეკითხებოდა რაიმე ცვლილება ხომ არ მოხდა უეფა-ს თასის გათამაშებაში, კერძოდ, მიიღებენ თუ არა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები მონაწილეობას ამ პრესტიჟულ შეჯიბრებაში.

საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველო დაუკავშირდა სსრ კავშირის სპორტსახკომის შესაბამის სამმართველოს და ოფიციალური პასუხი მიიღო: ცვლილებები არ მომხდარა, უეფა-ს თასის შემდგომ გათამაშებაში, რომელიც სექტემბერში დაიწყება, სსრ კავშირიდან მონაწილეობას მიიღებს თბილისის „დინამოც".

მანამდე კი თბილისის დინამოელები უნგრეთს გაემგზავრებიან, სადაც 23-28 ივნისს მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო ტურნირში.

ამჯერად სევილიაში...

ფიდე-ს პრეზიდენტმა ფლორენსიო კამპომანესმა ფიდე-ს შტაბ-ბინაში (ლიუცერნი) გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის მსოფლიო პირველობის მატჩი ესპანეთის ქალაქ სევილიაში გაიმართება. მატჩის გახსნის ცერემონიალი და კენჭისყრა 10 ოქტომბერს მოეწყობა. 12 ოქტომბერს პირველი პარტიაა დანიშნული. მატჩის მთავარ მსჯავრად არჩეულია ნიდერლანდელი გ. გიისენი.

თბილისში, სპორტის სასახლეში, დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) მეხუთე ტური მეშვიდე-მეთორმეტე ადგილებზე მყოფი გუნდებისათვის. თბილისის ტურის წინ ყველაზე არასახარბიელო სატურნირო მდგომარეობა ჰქონდათ ქართველ ხელბურთელებს, რომლებიც სპორტის სასახლის სარბიელზე ზედიზედ ოთხი შეხვედრის მოგებით საგრძნობლად დაწინაურდნენ.

იხ. მე.2 გვ

როგორ ვემზადებით?

სპორტსკოლების აღსაზრდელთა პირველი საკავშირო თამაშების ჩატარების ხელმძღვანელობის შტაბის მორიგ სხდომაზე, რომელიც სპორტსახკომში გაიმართა, განიხილეს თბილისის „დინამოს" სტადიონის მძლეოსნური ბილიკებისა და სექტორების თამაშებისათვის მომზადების, აგრეთვე მთავარ მსაჯთა კოლეგიისა და მთავარი პრესცენტრის მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები.

აღინიშნა, რომ მზადება შეუფერხებლად მიმდინარეობს და ასპარეზობის დღეებში მძლეოსნებს, მთავარ მსაჯთა კოლეგიასა და ჟურნალისტებს არავითარი პრობლემა არ ექნებათ.

• • •

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში, სადაც სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებისთვის რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მზადების ხელმძღვანელობის შტაბია შექმნილი, მიიწვიეს ჩოგბურთისა და მაგიდის ჩოგბურთის ნაკრები გუნდების წევრები, განიხილეს და დამტკიცეს მძლეოსანთა ნაკრები კოლექტივის მზადების მომავალი გეგმა.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

მხოლოდ საჯარიმოებით...

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 27 მაისი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „შევარდენი" (თბილისი) 12:6 (6:3).

„ლოკომოტივი": ი. ლეჟავა; ა. ხვედელიძე, შერაზადიშვილი, მარჯანიშვილი, მეტრეველი; ჩიქვინიძე, ჭეიშვილი; ტყაბლაძე (გიორგაძე, 76), კაკაბაძე, ბაკურაძე, ხუადე, კაშია, გიუნაშვილი, ღუდუშაური, ბასილაშვილი (ბებიაშვილი, 62).

„შევარდენი": გვიანიშვილი; ნ. ხვედელიძე, ხაცერაძე, ძნელაძე, რაზმაძე; გარუჩავა, ჯანელიძე; ბერიაშვილი, ელიზბარაშვილი, გაგნიძე (გოდერძიშვილი, 47), მარტიროსოვი, კახეთელიძე, ნ. მგელაძე, კაპანაძე, თეზელაშვილი.

მსაჯი ვალენტინ ბახტიაროვი (მოსკოვი).

გოლები: „ლოკომოტივი": ლეჟავა — 4 ხაჯარიმო (10, 37, 63, 75). „შევარდენი": ძნელაძე—2 ხაჯარიმო (16, 66).

იხ. მე.2 გვ



მასპინძლობს თბილისი

ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების შეხვედრებს კარგა ხნის ისტორია აქვს. ასეთ ტრადიციულ მატჩებში ოთხივე გუნდის ხელმძღვანელები ამოწმებენ თავიანთ მძლეოსანთა მზადყოფნას, თვალნათლივ ხედავენ მეტოქეთა მიღწევებს. გარდა ამისა, ოთხივე გუნდი დაახლოებით თანაბარი ძალისაა და ამიტომ გამარჯვებისთვის მუდამ დაძაბული ბრძოლა იმართება. ასეთი შეხვედრებისადმი ინტერესს ისიც აძლიერებს, რომ ოთხივე რესპუბლიკას ჰყავს რამდენიმე მაღალი კლასის მძლეოსანი და მაყურებელი ხშირად სარეკორდო მაჩვენებლების მოწმე ხდება.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის მატჩი მორიგეობით ეწყობა ასპარეზობის მონაწილე გუნდების სტადიონებზე. წლევანდელი შეჯიბრება დღეს იწყება თბილისის „დინამოს" სტადიონზე.

ასე რომ, ჩვენს სპორტის მოყვარულებს 16 საათიდან საშუალება მიეცემათ ნახონ მძლეოსანთა მომზიდველი ასპარეზობა.

„ფიზიკულტურის უბულებელყოფა, მისი შეუფასებლობა ხშირად სერიოზულ შედეგებს იწვევს. ორგანიზაციები განიცდიან მნიშვნელოვან დანაკარგებს, რომლებსაც იწვევს მუშა-მოსამსახურეთა შრომის უნაყოფობა ავადმყოფობის გამო, მიზეზი კი ერთია — არასაკმარისი ფიზიკური ფრთობა“.

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების (1985 წ.) მასალებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაქმნა კონკრეტული საქმით იწყება

სპორტული კლუბი აღორძინდება

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სპორტული კლუბის მუშაობა დიდხანს თვითდინებაზე იყო მიშვებული. ქარხნის ახალ ხელმძღვანელობას (დირექტორი რ. ჭეიშვილი, პარტკომის მდივანი ვ. მანჯგალაძე) კარგად ესმის ფიზკულტურისა და სპორტის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა და კონკრეტული ნაბიჯებიც გადადგა სპორტული კლუბის მუშაობის გარდაქმნისათვის.

სპორტკლუბი „კოლხეთი“ 1961 წელს შეიქმნა. როცა ფიზკულტურულ კოლექტივს სპორტული კლუბის წოდებას ანიჭებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ კოლექტივმა განვითარება-სრულყოფის უმაღლეს დონეს მიაღწია და მეტი უფლებაც მოიპოვა. ძნელია დაიმსახურო სპორტული კლუბის სახელი. თუ მიზანი მიღწეულია, ეს წინსვლის სტიმული უნდა იყოს კოლექტივისთვის, მაგრამ... ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სპორტული კლუბი „კოლხეთი“ წინსვლის ნაცვლად თანდათან უკან იხევდა. გასაკვირი და გასაცარი ის არის, რომ კოლექტივი, ნაცვლად ტრადიციების გაღრმავება-გამდიდრებისა, უკონტროლობისა და განუკითხაობის შედეგად ყველას თვალწინ კარგავდა ადრინდელ მონაპოვარს. ბოლოს სპორტული კლუბიდან მხოლოდ სახელი დარჩა. იგი ჩვეულებრივ, რიგით ფიზკულტურულ კოლექტივად იქცა. ახლახან სპორტსახკომის კოლეგიაზე ამ სპორტული კლუბის მუშაობის საკითხის განხილვისას ითქვა, რომ „არადამაკმაყოფილებლად ინერგება საწარმოო ტანვარჯიში — 1986 წელს მომეცადინეთა რიცხვი 800 კაცით შემცირდა, 9 საამქროდან საწარმოო ტანვარჯიში დანერგილია მხოლოდ სამში“. და კიდევ: „შარშან, წინა წელთან შედარებით, 20 პროცენტით გაიზარდა ავადმყოფობის გამო სამუშაო დღეების გაცდენა... ფორმალურად ტარდება შეჯიბრებები მშდ კომპლექსის მრავალჭიდში, არადამაკმაყოფილებელია წვევამდელ ახალგაზრდებთან მუშაობა. კოლექტივში დანერგილი სპორტის სახეობების რიცხვი 1985 წელთან შედარებით 26-დან 19-მდე შემცირდა — მუშაობა შეწყვიტა ნიჩბოსნობის, კრივის, ალპინიზმის, მაგიდის ჩოგბურთის, ბადმინტონის სექციებმა. წამყვანი პოზიციები დათმო ფეხბურთმა“.

აუცილებელი მოთხოვნაა, რომ სპორტკლუბთან ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა მუშაობდეს. თავის დროზე ყველაფერი გაკეთდა, რათა კოლექტივს ეს მოთხოვნაც დაკმაყოფილებინა, ფუმცა... შემდეგ არა თუ სპორტსკოლის, საერთოდ, რეზერვის მომზადებაზე ზრუნვაც არავის გახსენებია. უყურადღებოდ იყო მიტოვებული სპორტული ბაზების ქსელის გაფართოებისა და ადრე გაშენებული სპორტული კერების კეთილმოწყობისა, თუ მოვლა-პატრონობის საკითხი. განა შეიძლება სპორტულ კლუბს არ ჰქონდეს საკუთარი საცურაო აუზი, სასროლი ტირი, აღდგენითი ცენტრი? არსებული სპორტული ბაზების გამტარუნარიანობა მუშა-მოსამსახურეთა მოთხოვნილების მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებს. სოციოლოგიური გამოკითხვით დადგინდა: „ქარხანაში შექმნილი არასათანადო პირობების გამო მუშა-მოსამსახურეთა 38 პროცენტი ვარჯიშობს დამოუკიდებლად და არაორგანიზებულად, ხოლო 27 პროცენტი საერთოდ მოკლებულია ფიზკულტურისა და სპორტის სიკეთეს“. რაღა თქმა უნდა, ამის შემდეგ არ არის გასაკვირი, რომ თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენებისთვისაც არავინ ზრუნავდა. გასულ წელს სამედიცინო გამოსაფხიზლებელში ქარხნის საერთო საცხოვრებლიდან მოხვდა 25 მუშა.

ასეთ დიდ კოლექტივში, — ითქვა კოლეგიის სხდომაზე, — უნდა იქმნებოდეს ისეთი მიკროკლიმატი, რომელიც სასიკეთო ზეგავლენას მოახდენს მთელ ქალაქზეც კი. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ საქმისადმი ახლებური მიდგომით.

დაბოლოს არ შეიძლება პარალელი არ გავავლოთ ახლო წარსულში ავტოქარხნელთა მრავალრიცხოვანი კოლექტივის არასახარბიელო შრომით მაჩვენებლებსა და მშრომელთა დასვენების ორგანიზაციას შორის. კოლეგიის სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სპორტკლუბის საქმიანობაში არსებული ხარვეზები . განაპირობა სპორტსაზოგადოება „განთიადის“ რესპუბლიკური საბჭოს (ყოფილი თავმჯდომარე ა. გიორგობიანი) და ქუთაისის სპორტკომიტეტის (თავმჯდომარე დ. ფრუნიძე) ფორმალურმა და არაკონკრეტულმა მუშაობამ.

რედაქციისაგან: აი, ასეთ პირობებში შეუდგა ადრე დაშვებული ნაკლოვანებების გამოსწორებას ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ახალი ხელმძღვანელობა. დღეს აქ უკვე ტარდება მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები და სპორტული შეჯიბრებები. მწყობრში ჩადგა საჭადრაკო კლუბი, საჭიდაო დარბაზი, ორი ოთახი გამოყვეს ტრენაჟორებისთვის, ვამოინახა სათავსო მაგიდის ჩოგბურთისათვის, კეთილმოეწყო ჩოგბურთის მოედნები. ფიზკულტურა და სპორტი, მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები ჩართულია წარმოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმაში და შეტანილია სოციალისტური შეჯიბრების დებულებაში. საერთო ენთუზიაზმი, საქმისადმი დამოკიდებულება და ის, რაც მოკლე დროში გაკეთდა, საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ კარგად დაწყებული საქმე უთუოდ კარგად დასრულდება.

თბილისი 1987

ორი ლიდერი

დასასრული

● თბილისის წლევანდელი ტურნირი აშშ-ისა და რუმინეთის ნაკრები გუნდების მატჩით დაიწყო. კმაყოფილი ხართ ფრედ დამთავრებული შეხვედრით?

— შეგვეძლო უკეთესად გვეთამაშა, მაგრამ... იქნებ იმან იმოქმედა, რომ აკლიმატიზაცია, თბილისის დროზე გადასვლა გაგვიჭირდა. თანაც, ჩვენი და რუმინეთის ნაკრები გუნდების შეხვედრისას წამმზომი არ მუშაობდა და ვერ ვსაზღვრავდით პერიოდების დამთავრებამდე რამდენი დრო რჩებოდა. ჩვენმა ერთ-ერთმა მოთამაშემ, რომელიც მეკარესთან პირისპირ გავიდა, ტყორცნა წამით დააგვიანა და გოლი, რასაკვირველია, არ ჩაითვალა. თუმცა რუმინელებიც ამნაირ დღეში იყვნენ.

ასპარეზობის პირველ დღეს, როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს გუნდი საბერძნეთის ნაკრებთან შეხვედრაში მინიმალური ანგარიშით დამარცხდა — 5:6 (1:1, 1:3, 1:0, 2:2).

მასპინძლებმა, როგორც ჩანს, საბერძნეთის ნაკრების ძალები სწორად ვერ შეაფასეს. მათ ეს მატჩი ფაქტურად მეორე შემადგენლობით დაიწყეს და ამიტომ მეტოქესთან ვერაფერი გააწყვეს. მეორე პერიოდში, როცა სტუმრები ანგარიშში სამი ბურთის სხვაობით (4:1) იგებდნენ შეხვედრას, სარბიელზე მასპინძელთა ძირითადი საბრძოლო შემადგენლობა გამოვიდა, მაგრამ დანაკარგის ანაზღაურება გუნდმა ვეღარ შეძლო.

მასპინძელთა ძირითადი საბრძოლო შემადგენლობა ვახსენეთ. ამას განმარტება სჭირდება: ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე გახდა ცნობილი, რომ ჩვენი გუნდი სარბიელზე ყველა უძლიერესი წყალბურთელით ვერ გამოვიდოდა. საქმე ის არის, რომ თბილისელთა მეკარე მიხეილ გიორგაძე და კახა კანდელაკი ამ ტურნირზე გამოსასვლელად საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში მიიწვიეს, მაგრამ ბოლოს გაირკვა, რომ ჩვენი მეკარე ვერც ერთი ნაკრების შემადგენლობაში ვერ ითამაშებდა, რადგან იგი დაშავდა. ტურნირის დაწყებამდე თბილისელთა ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ზუმბულიძე ავად გახდა. მან მხოლოდ შეჯიბრების დაწყების დღეს იგრძნო უკეთ თავი, მაგრამ საბერძნეთის ნაკრებთან შეხვედრაში ისიც დაშავდა.

მასპინძლებს თავიანთი ძირითადი შემადგენლობის დანარჩენი წევრები სარბიელზე თავიდანვე რომ გამოეყვანათ, ალბათ საბერძნეთის ნაკრებს დაამარცხებდნენ.

სტუმართაგან ბურთები გაიტანეს: საამარჯიდისმა (4), პაპანასტასიომ და ჩიგარისმა. მათ გარდა თამაშობდნენ: დარასი, კაიფასი, მავროტასი, სარიდაკისი, პროტოპაპასი, ტომასასი, მარკოპულოსი.

მასპინძელთაგან მეტოქის კარი დალაშქრეს: რამიშვილმა (2), ბითაძემ, ზუმბულიძემ და კუტიავაძემ. მათთან ერთად საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდნენ: ტუკვაძე, ბალათურია, მიხეილ გიორგაძე (უმცროსი), გვახარია, ნიკოლაიშვილი, კოღუაშვილი, ქართველიშვილი, მაჭავარიანი. გუნდს ჰყავს სათადარიგო მეკარე — კერესელიძე.

ტურნირის მეორე დღეს, დილით გამართულ შეხვედრებში რუმინეთის ნაკრებმა დაამარცხა ბულგარელთა გუნდი (11:6), იუგოსლავიელებმა — ბერძნები (6:2), საბჭოთა კავშირის ნაკრებმა — საქართველოს ნაკრები 12:7 (2:2, 4:2, 4:1, 2:2).



აღსანიშნავია, რომ ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა ეს ტურნირი შესუსტებული შემადგენლობით დაიწყო. მის რიგებში არ არიან მოსკოველი მეკარე შარონოვი და გიორგი მშვენიერაძე, რომლებიც არა მხოლოდ საბჭოთა ნაკრების, არამედ მსოფლიოს უძლიერესი წყალბურთელები არიან. ისინი, როგორც ამბობენ, თავიანთ ნაკრებს დღეს შეუერთდებიან.

საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში არიან: შოროფეევი, შვედოვი, ოგოროდნიკოვი, ნაუმოვი, ბერენდიუგა, კოტენკო, აპანასენკო, კანდელაკი, ვოლკოვი, მარკოჩი, მაქსიმოვი, როჟდესტვენსკი და ჩიგორი.

თბილისელი კანდელაკი ქვეყნის ნაკრებში პირველად ვიხილეთ. მას ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია—დებიუტი გოლით აღნიშნა. მის გარდა ბურთები გაიტანეს ნაუმოვმა (3), აპანასენკომ, კოტენკომ (2-2), შვედოვმა, ვოლკოვმა, ოგოროდნიკოვმა და მაქსიმოვმა, თბილისელთაგან მეტოქის კარი დალაშქრეს კუტიავაძემ (3), გიორგაძემ და ბალათურიამ (2-2).

საღამოს მატჩებში ბულგარეთისა და აშშ-ის ნაკრებ გუნდებს შორის დაძაბული ბრძოლა გაიმართა. მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს ამერიკელებმა — 13:12. სსრ კავშირის ნაკრებმა იოლად სძლია საბერძნეთის გუნდს — 15:3. ბოლოს სარბიელზე საქართველოსა და რუმინეთის წყალბურთელები გამოვიდნენ.

რუმინელთა ნაკრები უცხოელთა ერთადერთი გუნდია, რომელმაც თბილისის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულის სახელი მოიპოვა. განსაკუთრებით გამოირჩევა ხაჯიუ, რომელსაც თბილისის ტურნირში არაერთხელ მიუღია საუკეთესო ბომბარდირისთვის დაწესებული პრიზი. ამიტომ მას ყველა განსაკუთრებულად „მეურვეობს“.

ქართველმა წყალბურთელებმა „ხაჯიუს პრობლემა“ იოლად გადაკრეს. რუმინელმა სპორტსმენმა ორად-ორი ბურთის გატანა შესძლო. ვრთხელ მას 4-მეტრიანი საჯარიმო ტყორცნით შეეძლო მეტოქის კარის აღება, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია.

უნდა ითქვას, რომ ამ დღეს ჩვენმა სპორტსმენებმა შესანიშნავად ითამაშეს. მათ თითქმის ყველა უბანზე დაჯაბნეს მეტოქე. თბილისელთა გამარჯვებაში, სპეციალისტთა აზრით, ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის მეკარე ტუკვაძეს, რომელმაც მართლაც ჩინებულად ითამაშა. მან რამდენიმე ეგრეთ წოდებული მკვდარი ბურთი აიღო, მოიგერია პენალტიც, ერთხელაც ბურთი მაშინ ჩაიგდო ხელში, როცა მეტოქეს სარბიელზე ორი ზედმეტი მოთამაშე ჰყავდა და მასთან პირისპირ დარჩენილმა მეტოქემაც ვერაფერი გააწყო.

საბოლოოდ მასპინძლებმა გაიმარჯვეს — 12:7 (3:1, 3:1, 3:2, 3:3).

თბილისელთაგან მეტოქის კარი დალაშქრეს კუტიავაძემ (4), რამიშვილმა (3), ნიკოლაიშვილმა, გვახარიამ (2-2) და გიორგაძემ. რუმინელთაგან თავი გამოიჩინეს ხაჯიუმ, ანჯელესკუმ (2-2), რიდეკანომ, მოიჩანუმ და ოლარუმ. მათ გარდა რუმინელთა გუნდის ღირსებას იცავდნენ: სიმონიუ, იოენესკუ, კიში, გორდანი, კოსტრეში, დანი და პოპესკუ.

ᲒᲣᲨᲘᲜ...

დილით გამართული შეხვედრები ასეთი ანგარიშებით დამთავრდა: საქართველო — იუგოსლავია 6:13, საბერძნეთი — აშშ 8:12, ბულგარეთი — სსრკ 7:15.

საღამოს მატჩები ასე დამთავრდა: სსრკ — რუმინეთი 12:8, აშშ — იუგოსლავია 12:14, საქართველო — ბულგარეთი 9:9.

ახლა ტურნირზე ლიდერობენ იუგოსლავიისა და სსრ კავშირის გუნდები, რომლებსაც 8-8 ქულა აქვთ. მომდევნო ადგილებზე არიან: აშშ-ს (5), საქართველოს, რუმინეთის (3-3), საბერძნეთის (2) და ბულგარეთის გუნდები (1).

ავთანდილ გურასაშვილი.

ᲔᲠᲗᲘ ᲥᲣᲚᲐᲪ ᲓᲐ...

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასასრულს მიუახლოვდა მოჭადრაკე ქალთა XI საერთაშორისო ტურნირი. გუშინწინ გაიმართა IX ტურის შეხვედრები.

ამ ტურში უურადღება მიიქცია ქეთევან არახამიასა და ნატალია კონოპლიოვას პარტიამ. ქეთევანმა ისარგებლა იმით, რომ მეტოქის მეფე დაფის ცენტრში დარჩა და ტაქტიკური კომბინაცია განახორციელა: ეტლის ლამაზი შეწირვით შავების მეფე საშამათო ქსელში მოაქცია და მეტოქე აიძულა დანებებოდა. აღფრთოვანებულმა გულშემატკივრებმა ქართველი საერთაშორისო ოსტატი ტაშით დაჯილდოვეს. ამრიგად, ქეთევანს დარჩენილ 2 პარტიაში 1 ქულის აღება სჭირდება დიდოსტატის მეორე ბალის შესასრულებლად.

კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა ქეთევან კახიანმა. ამჯერად მან ბულგარელი ოსტატი ევგენია პეიჩევა დაამარცხა.

რაც შეეხება ჰენრიეტა ლაგვილავას, რომელიც საერთაშორისო ოსტატის ნორმის შესასრულებლად იბრძვის და რომელსაც დიდოსტატის ბალის მოპოვების შანსიც აქვს, ამჯერად იგი შავებით ეთამაშებოდა ლიუდმილა ზაიცევას. ქართველმა მოჭადრაკემ თავდაპირველად თითქოს შეძლო პოზიციის გათანაბრება, მაგრამ მისმა გამოცდილმა მეტოქემ მიტელშპილში აშკარა პოზიციური უპირატესობა მიიღო. ზაიცევამ თამაშიდან გამოთიშა თეთრების ლაზიერი და მხედრით ძლიერი მუქარები შექმნა. მოსკოველმა დიდოსტატმა ჯერ ხარისხი მოიგო, შემდეგ პარტიაც.

ელენა ახმილოვსკაიამ ზუსტად გამოიყენა უპირატესობა ლილიანა ლეშნერთან და კიდევ ერთი ქულა მოიპოვა.

ლიკია ჟიკმანისა და თამარ ხუგაშვილის პარტიაში ხუგაშვილმა დებიუტში პაიკი შესწირა მეტოქეს და თავისი ფიგურები გააქტიურა. რუმინელი საერთაშორისო ოსტატი იძულებული გახდა პოზიციის გასამარტივებლად ორი პაიკი დაეთმო. საბოლოოდ პარტია გადაიდო ეტლების რთულ დაბოლოებაში. ხუგაშვილს ზედმეტი პაიკი აქვს.

გადაიდო ციალა ქასოშვილისა და ქრისთინ ნიუბერგის პარტიაც. ქასოშვილს ხარისხი აქვს პაიკში, მაგრამ პოზიცია მეტად რთულია.

9 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ელენა ახმილოვსკაია — 7,5 (2; 10 შეხვედრიდან), ქეთევან არახამია — 7,5, ჰენრიეტა ლაგვილავა — 5,5 (1), ნატალია კონოპლიოვა — 5,5.

ვასილ ვაშაკიძე,
ოსტატობის კანდიდატი.

წინ ტირასპოლია, უკან—„ტირასპოლი“...

სათაურთან დაკავშირებით აქვე გავხსნით ფრჩხილებს: დიახ, ხელბურთელ ვაჟთა უმაღლესი ლიგის სსრ კავშირის XXVI ჩემპიონატის ბოლოსწინა, მეხუთე ტურში, რომელსაც თბილისს სპორტის სასახლე მასპინძლობდა, ჩვენმა მთავარმა მეტოქემ — სპორტკლუბ „ტირასპოლის“ გუნდმა ზედიზედ ოთხი შეხვედრა წააგო (მათ შორის გუშინწინ ლენინგრადის „ნევასთან“ — 28:34) და 9 ქულას მხოლოდ 2 ქულა მიუმატა. „ბურევესტნიკმა“ კი სასტარტო მატჩში მასთან დამარცხების შემდეგ ოთხი შეხვედრა მოიგო, 14 ქულა მოაგროვა და ერთპიროვნული აუტსაიდერის როლი მოლდაველ ხელბურთელებს „გაუცვალა“.

ბურევესტნიკელები ტურის ბოლო მატჩში საკმაოდ ძლიერ მეტოქეს კაუნასის „გრანიტასს“ ეთამაშნენ. გუნდს, რომელმაც, როგორც ცნობილია, ახლახან ევროპის საკლუბო თასი (იგფ) მოიპოვა. მატჩის დაწყებისთანავე ნათელი გახდა, რომ თბილისელებს „საკუთარი კედლების“ იმედი ჰქონდათ, თუმცა რა გამხნევებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ტრიბუნაზე სულ ოცეიოდე კაცი იჯდა, იქნებ ისინიც სასახლეში გათამაშებულ ლატარიაში ბედის საცდელად მოვიდნენ.

დავუბრუნდეთ ისევ კაუნასელებთან შეხვედრას. ანგარიში ჩვენი გუნდის კაპიტანმა აბესაძემ გახსნა. მეტოქის საპასუხო შედეგიანი ტყორცნის შემდეგ კი მიხუტამ კვლავ დააწინაურა მასპინძლები და ამის შემდეგ „ბურევესტნიკს“ ხელიდან აღარ გაუშვია არც თამაშის სადავეები და არც ანგარიშში უპირატესობა. პირველი ტაიმი ჩვენებმა 5 ქულის სხვაობით მოიგეს — 15:10, შესვენების შემდეგ ეს ხუთბურთიანი „ფორა“ შეინარჩუნეს. 25:20 — ასეთია შეხვედრის საბოლოო შედეგი.

ამ დღეს კრასნოდარის სკიფ-მა კიევის არმიელებთან შეხვედრაში პირველი ტაიმი წააგო — 13:16, მაგრამ საბოლოოდ მატჩი ერთი ბურთის სხვაობით მოიგო — 27:26.

ყველაფერს გადაწყვეტს გათამაშების დასკვნითი ტური, რომელიც 11-17 ივნისს გაიმართება ტირასპოლში. თბილისის „ბურევესტნიკს“ გაუჩნდა უმაღლეს ლიგაში დარჩენის კარგი შანსი. მაშ ასე, წინ ტირასპოლია...

XI ტურის სტატისტიკა

25-27 მაისს გაიმართა სსრ კავშირის 50-ე საფეხბურთო ჩემპიონატის XI ტურის შეხვედრები. გთავაზობთ მათს სტატისტიკურ მონაცემებს.

ცსკა — „შახტიორი“ 1:2 (0:1). გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს სმოლიანინოვმა და გერასიმეცმა, ცსკა-ს მხრივ — ბროშინმა.

დუბლიორები — 1:0.

„სპარტაკი“ — „ტორპედო“ 1:1 (0:0). ლიდერთა მატჩში 65-ე წუთზე დაწინაურდნენ სპარტაკელები (როდიონოვი), წუთის შემდეგ საპასუხო ბურთი გაიტანა შირინბეკოვმა.

უხეში თამაშისთვის მინდვრიდან გაძევეს „სპარტაკის“ მცველი კიუმოვი.

დუბლიორები — 3:1.

„ქაირათი“ — „დინამო“ (მინსკი) 2:1 (1:0). მასუდოვისა და ფეხლევანიდის გოლებმა გამარჯვება მოუტანა მასპინძლებს. „საპასუხო ბურთი კონდრატიევმა გაიტანა. 84-ე წუთზე, როცა ანგარიში იყო 2:0, ალმათელმა ფეხლევანიდიმ ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი.

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: ვ. მიმინოშვილი, შ. ხანიშვილი (თბილისი), ჯ. წერეთელი (რუსთავი).

დუბლიორები — 0:1.

„დინამო“ (კიევი) — „მეტალისტი“ 2:1 (2:1). კიეველთაგან ბურთები გაიტანეს ბლოხინმა და რაქიცა, სტუმართაგან — ტალკომ.

დუბლიორები — 3:1.

„არარატი“ — „ნეფთჩი“ 1:0 (0:0). ბურთი 11-მეტრიანით გაიტანა სარქისიანმა.

გაფრთხილეს ერევნელი აშ. ხატრიანი.

დუბლიორები — 1:1.

● მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ტურებში კვლავ დაბალია შედეგიანობა. 7 მატჩში სულ გატანილია 13 ბურთი, ე. ი. ყოველ მატჩში საშუალოდ ორ გოლზე ნაკლები. სტუმრებმა შედარებით კარგად ითამაშეს, 13 ბურთიდან 6 მათ ანგარიშზეა, 2 მატჩი მოიგეს და ორიც ფრედ დააბოლოვრეს. საერთოდ კი, ჩემპიონატის დაწყებიდან 44 მატჩი მასპინძლებმა მოიგეს და მხოლოდ 13 — სტუმრებმა. 28 შეხვედრა ფრედ დამთავრდა.

● მოსკოვის „სპარტაკი“ ერთადერთი გუნდია უმაღლეს ლიგაში, რომელსაც ჯერ წაგება არ განუცდია, ლიდერს ყველაზე მეტი მატჩი აქვს მოგებული (6) და ყველაზე მეტი გატანილი ბურთი (18). 5-5 მატჩი მოიგეს ერევნის „არარატმა“, მოსკოვის „ტორპედომ“ და ვილნიუსის „ჟალგირისმა“.

● გომგარდირთა შორის დაწინაურდნენ ნ. ნარბეკოვასი („ჟალგირისი“), ე. ფეხლევანიდი („ქაირათი“), ს. როდიონოვი („სპარტაკი“) და ვ. ტატარჩუკი (ცსკა). თითოეულმა მათგანმა 5-5 ბურთი გაიტანა.

● 1 და 2 ივნისს გაიმართება სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშების III ტურის მატჩები. თბილისის დინამოელები 2 ივნისს შინ მიიღებენ ლანჩხუთის „გურიას“.

● 3 ივნისს შედგება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი III ჯგუფის გუნდებს შორის. ნორვეგიელი ფეხბურთელები თავიანთ მინდორზე მიიღებენ სსრ კავშირის ნაკრებს.

● სსრ კავშირის ჩემპიონატი (XII ტური) განახლდება 3 ივნისს, 7 ივნისს თბილისის „დინამო“ შინ მიიღებს დონეცკის „შახტიორს“, ლანჩხუთში კი ერთმანეთს შეხვდებიან „გურია“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“.

I ლიგა

28 მაისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XIII ტურის მატჩები.

დიდ ინტერესს იწვევდა ლიდერთა ჯგუფის გუნდების შეხვედრები. ოდესის „ჩერნომორეცმა“ შინ მიიღო კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ და მხოლოდ უკიდურესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ მიიღწია გამარჯვებას — 2:1. რიგის „დაუგავამ“ თავის მინდორზე მარცხი იწვნია მოსკოვის „ლოკომოტივთან“ შეხვედრაში — 0:1.

ტურის სხვა შედეგები: „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 2:0, „დინამო“ (სტავროპოლი) — „პამირი“ (დუშანბე) 2:1, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) 2:0, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 1:0, „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:1, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — ასკ (დონის როსტოვი) 2:1, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „კუზბასი“ (კემეროვო) 1:1.

საქართველოს გუნდებს ამ ტურში არ უთამაშიათ.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ჩერნომორ.“	12	10	2	0	24-5	22
„ლოკომოტ.“	14	7	5	2	17-9	19
„დაუგავა“	12	8	1	3	18-10	17
„როსტსელ.“	12	7	2	3	17-10	16
„კოლოსი“	13	7	2	4	17-11	16
„გეოლოგი“	13	5	4	4	13-10	14
„კუზბასი“	13	5	3	5	12-8	13
„მეტალურგი“	12	5	2	5	13-13	12
„შინიკი“	11	5	2	4	8-9	12
„ფახთაქორი“	12	5	2	5	12-14	12
„ზარია“	12	4	4	4	12-12	12
„სპარტაკი“	12	4	4	4	8-8	12
„დინამო“ სტ.	12	4	4	4	12-17	12
„პამირი“	12	4	3	5	15-14	11
„კოტაიკი“	12	4	2	6	12-15	10
ასკ რ.	12	4	2	6	8-15	10
„ფაკელი“	13	3	4	6	9-14	10
„კრ. სოვეტ.“	13	3	3	7	11-13	9
„დინამო“ ბ.	12	3	3	6	7-12	9
ასკ „კაოა.“	11	2	4	5	8-15	8
„ტორპედო“ ქ.	12	2	4	6	7-14	8
„როტორი“	13	2	2	9	11-23	6

28 მაისს შედგა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მე-10 ტურის შეხვედრები. საქართველოს შვიდივე გუნდმა შინ ჩაატარა მატჩები და ყველამ წარმატებას მიაღწია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სამტრედიის „ლოკომოტივის“ კარგი თამაში. როგორც ჩვენმა სამტრედიელმა კორესპონდენტმა **ანზორ სირაძემ** გვაცნობა, „ლოკომოტივმა“ დიდი უპირატესობით ჩაატარა მატჩი ყაზახის „გოიაზანთან“ და მორიგი გამარჯვება მოიპოვა დიდი ანგარიშით — 3:0. სამტრედიელები ჯერ კიდევ პირველ ტაიმში დაწინაურდნენ, შვეიცოვის ზუსტი გადაცემის შემდეგ ანგარიში გახსნა პაიჭაძემ. ტაიმის ბოლო წუთებზე კი იმავე შვეცოვმა კარგ პოზიციაში გაიყვანა ბაბუნიძე და ანგარიში გახდა 2:0. შესვენების შემდეგ კვლავ შვეცოვის გადაცემის შედეგად „გოიაზანის“ კარი მესამედ აიღო ბაბუნიძემ.

წარმატებით თამაშობს, აგრეთვე თბილისის „შევარდენი“-სპი, რომელმაც აშხაბადის „კოლხოზჩი“ მიიღო. თბილისელებს მთელი თამაშის მსვლელობაში სრული უპირატესობა ეპყრათ, რაზეც ნათლად მეტყველებს მატჩის ანგარიში 5:0 „შევარდენი“-სპი-ს სასარგებლოდ.

ჩამორჩენას თავს აღწევს ტყიბულის „მეშახტე“, რომელმაც ერთობ წარუმატებელი სტარტის შემდეგ მესამე გამარჯვებას მიაღწია. ტყიბულელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხეს მინგეჩაურის „ავტომობილისტი“. ეს ერთადერთი გოლი უშუალოდ კუთხური მოწოდებიდან გაიტანა რუსიშვილმა. „მეშახტის“ უკეთესი ანგარიშითაც შეეძლო გაემარჯვა, მაგრამ ვერ გამოიყენა ბურთის გატანის რამდენიმე საუკეთესო შესაძლებლობა.

როგორც ჩვენი ფოთელი კორესპონდენტი ანრიან ლიმანი გვაცნობებს, ლენინაკანელ „ფაზისსა“ და „ფიასთან“ მატჩში „ოლეთეს“ სრული უპირატესობა ჰქონდა. მართალია, მასპინძლებმა შესვენებამდე ვერ შეძლეს თავიანთი უპირატესობის რეალიზაცია, მაგრამ მეორე ტაიმში კიდევ უფრო აქტიურად ითამაშეს, ჯერ ქელეხიძემ დაწინაურა გუნდი, 56-ე წუთზე კი შევჩუკამ მეორედ აიღო „ოლიმპიის“ კარი. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს ფოთელმა ფეხბურთელებმა.

ტურის სხვა მატჩების შედეგები: „დილა“ (გორი) — „ვოსხოდი“ (სუმგაითი) 3:0, „ლორი“ (კიროვაკანი) — „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) 1:0, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) 4:0, „დინამო“ (სოხუმი)—„სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) 3:1.

II ლიგა, IX ზონა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომოტ“	10	8	2	0	17-2	18
„ქიაფაზი“	10	6	2	2	18-10	14
„დინამო“	10	5	2	3	18-11	12
„შევარ.“-სპი	9	5	1	3	19-11	11
„ვოსხოდი“	10	5	1	4	13-13	11
„კოლხეთი“	10	4	3	3	12-12	11
„ლორი“	10	5	0	5	7-8	10
„დილა“	10	4	2	4	13-14	10
„ავტომობ“	10	4	1	5	13-14	9
„ყარაბახი“	10	4	1	5	12-13	9
„ოლიმპია“	10	4	0	6	9-15	8
„სპარტაკი“	10	3	2	5	10-18	8
„მეტალურგი“	10	3	1	6	10-11	7
„მეშახტე“	9	3	1	5	7-12	7
„კოლხოზჩი“	10	2	3	5	9-14	7
„გოიაზანი“	10	2	2	6	7-16	6

მოკლედ

ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა დაამთავრა ტურნე ევროპაში. ბრაზილიელები 28 მაისს ჰელსინკში ფინეთის ეროვნულ ნაკრებს შეხვდნენ და ძნელ გამარჯვებას მიაღწიეს — 3:2 (1:1).

ოსლო. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ნორვეგიისა და იტალიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. ეს ამხანაგური საერთაშორისო მატჩი სანახაობრივი თვალსაზრისით არ გამოირჩეოდა და დამთავრდა ფრედ — 0:0

ოსლო. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ნორვეგიისა და იტალიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. ეს ამხანაგური საერთაშორისო მატჩი სანახაობრივი თვალსაზრისით არ გამოირჩეოდა და დამთავრდა ფრედ — 0:0

ვინ ი[illegible]ასჯეებს?

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ დაამტკიცა მსაჯთა სია, რომლებიც უმაღლესი ლიგის ჩემპიონატისა და სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის მატჩებს უხელმძღვანელებენ ივნისში.

თბილისის „დინამოსა“ და ლანჩხუთის „გურიის“ სათასო შეხვედრას 2 ივნისს იმსაჯებს ნ. იუროვი (ტომსკი).

საკავშირო ჩემპიონატის მატჩს თბილისის „დინამოსი“ და დონეცკის „შახტიორს“ შორის 7 ივნისს ჩაატარებს მოსკოველი ვ. ბუტენკო, ხოლო ლანჩხუთის „გურიისა“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ შეხვედრას — მოსკოველი კ. დორონინი.

11 ივნისს თბილისის „დინამო“ მიიღებს დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“, არბიტრად დანიშნულია მოსკოველი ა. კირილოვი, ხოლო იმავე დღეს ლანჩხუთის „გურიის“ შეხვედრას დონეცკის „შახტიორთან“ ჩაატარებს მოსკოველი ო. ჩინენოვი.

17 ივნისს ლანჩხუთელი ფეხბურთელები მოსკოვში შეხვდებიან ცსკა-ს. მატჩს იმსაჯებს ჩერნოვცელი პ. კობიჩიკი.

18 ივნისს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდებიან ადგილობრივი და თბილისის დინამოელები. არბიტრია რ. იუშკა (ვილნიუსი).

თბილისელი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ვ. მიმინოშვილი 10 ივნისს უხელმძღვანელებს ხარკოვის „მეტალისტისა“ და მინსკის „დინამოს“ მატჩს, ხოლო 18 ივნისს — ლენინგრადის „ზენიტისა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შეხვედრას.

ევროპის საკლუბო ტურნირები

პორტუგალიაში — 25 წლის შემდეგ

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მეოთხედი საუკუნის შემდეგ კვლავ პორტუგალიაში გამოიზამთრებს. ამ საპატიო პრიზისთვის ბრძოლაში ამჯერად გაიმარჯვა „პორტომ“, რომელმაც ფინალურ მატჩში მიუნხენის „ბაიერნი“ დაამარცხა — 2:1.

ამ მატჩს ვენის „პრატერშტადიონზე“ 60 000 მაყურებელი დაესწრო. მეტოქეები მინდორზე ასეთი შემადგენლობით გამოვიდნენ: „პორტო“ — მლინარჩიკი, პინტუ, ინასიუ (ფრაშკუ, 66), ლუიში, სელსუ, კომი (ჟუარი, 46), მაგალიაეში, მაჯერი, სოუზა, ფუტრე, ანდრე; „ბაიერნი“ — პფაფი, ვინკლოფერი, პფლიუგლერი, ედერი, ნახტვაი, ბრეგმე, ფლიკი (ლუნდე, 83), მათეუსი, ჰიონესი, რუმენიგე, კიოგლი. ორივე გუნდს აკლდა რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი: გომეში, პერეირა, კაზაგრანდე („პორტო“), აუგენტალერი, ვოლფარტი („ბაიერნი“).

პირველ ტაიმში ტერიტორიული უპირატესობა დასავლეთგერმანელთა მხარეზე იყო, 25-ე წუთზე მათ გახსნეს კიდეც ანგარიში: პფლიუგლერმა აუტიდან ბურთი მეტოქის საჯარიმო მოედანზე ჩააწოდა. აქ მაგალიაეშმა არაზუსტად ითამაშა და კიოგლმა ნახტომში, თავური დარტყმით დააწინაურა „ბაიერნი“ — 1:0. ამის შემდეგ გერმანელებს კიდევ მიეცათ გოლის გატანის შესაძლებლობა: მათეუსის შესანიშნავი პასის შემდეგ რუმენიგემ კარგი მდგომარეობიდან კარს აცილა ბურთი.

მეორე ტაიმში უპირატესობა პორტუგალიელებმა იგდეს ხელთ. ჟუარიმ საგრძნობლად გამოაცოცხლა „პორტუს“ თავდასხმა. გააქტიურდნენ ფუტრე, სოუზა, განსაკუთრებით კი მაჯერი. პორტუგალიელებმა რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნეს, ორჯერ სახიფათოდ დაარტყა მაჯერმა, ასევე სახიფათო იყო ფუტრეს სწრაფი რეიდი მარჯვენა ფრთაზე. გერმანელები 78-ე წუთამდე ინარჩუნებდნენ უპირატესობას, ვიდრე კარისკენ ზურგით მდგარი მაჯერი ეფექტური დარტყმით ანგარიშს გაათანაბრებდა. ორი წუთის შემდეგ მისივე ჩაწოდებული ბურთი ჟუარიმ შეაგდო „ბაიერნის“ კარში და „პორტომ“ გაიმარჯვა — 2:1.

საინტერესოა, რომ ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური მატჩის მონაწილე გუნდმა 1977 წლის შემდეგ პირველად გაიტანა ერთ გოლზე მეტი.

ბელგიელმა მსაჯმა ალექს პონემ ყველი ბარათი უჩვენა სამ მოთამაშეს: მაგალიაეშს, სოუზასა და ვინკლჰოფერს.

როგორც ავსტრიული გაზეთები იუწყებიან, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩის შემდეგ, სადაც მიუნხენის „ბაიერნმა“ მარცხი განიცადა პორტუგალიის „პორტოსთან“ ფინალურ შეხვედრაში ვენის „პრატერის“ სტადიონზე, დასავლეთგერმანელმა ტურისტებმა კვლავ ხულიგნობა ჩაიდინეს. მათ დებოში მოაწყვეს ვენის ცენტრალურ ქუჩებზე, ვანდალები დაურიდებლად ამსხვრევდნენ მაღაზიებისა და რესტორნების მინებს, ხულიგნურად უსწორდებოდნენ არამარტო ადგილობრივ მოქალაქეებს, არამედ პოლიციელებსაც, აყირავებდნენ, ცეცხლს უკიდებდნენ მანქანებს და ა. შ.

ვენის პოლიციამ მხოლოდ საგანგებო ზომების შემდეგ შეძლო ამ მასობრივი ხულიგნური გამოხდომების აღკვეთა, დააპატიმრეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან ჩამოსული 30 გულშემატკივარი.

● ● ●

ამრიგად, დამთავრდა ევროპის სამივე საკლუბო ტურნირის გათამაშება ფეხბურთში. შეგახსენებთ:

ჩემპიონთა თასი მოიგო პორტუგალიის „პორტომ“.

თასების მფლობელთა თასზე ჰოლანდიის „აიაქსმა“ ანგარიშით 1:0 მოუგო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის „ლოკომოტივს“.

უეფა-ს თასი წილად ხვდა შვეიცარიის „გეტებორგს“, რომელმაც შინ გაიმარჯვა ანგარიშით 1:0, ხოლო დანდიში ფრედ ითამაშა შოტლანდიის „დანდი იუნაიტედთან“ — 1:1.

ევროპის ჩემპიონატები

მეშვიდე ჯგუფი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურში ლუქსემბურგისა და ირლანდიის ნაკრებ გუნდებს შორის ირლანდიელმა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0 (1:0).

საბოლოო ცხრილი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
[illegible]ლგარეთი	5	3	2	0	10-3	8
[illegible]ლგია	5	2	3	0	13-4	7
[illegible]ლანდია	6	2	3	1	6-4	7
შოტლანდია	5	1	2	2	4-5	4
ლუქსემბურგი	5	0	0	5	1-18	0

● ● ●

საფრანგეთის ქალაქებში გრძელდება 16 წლამდე ჰაბუკ ფეხბურთელთა კონტინენტის ჩემპიონატი.

სსრ კავშირის ნაკრებმა თავის ჯგუფში მეორე გამარჯვება მოიპოვა ავსტრიის გუნდთან შეხვედრაში — 1:0. ნორვეგიელებმა ამავე ჯგუფში ანგარიშით 2:0 დაამარცხეს იუგოსლავიის გუნდი.

გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 30 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	11	8	0	3	28-12	16
„დნეპრი“	11	6	2	3	17-10	14
„ქაირათი“	11	5	3	3	18-16	13
„ჟალგირისი“	9	4	5	0	9-4	13
„შახტიორი“	10	4	4	2	9-5	12
„ნეფთჩი“	11	4	4	3	9-17	12
„დინამო“ კ.	8	5	1	2	18-10	11
„ზენიტი“	10	4	3	3	16-15	11
ცსკა	11	5	0	6	13-18	10
„დინამო“ მნ.	11	4	2	5	18-13	10
„გურია“	10	4	2	4	10-12	10
„დინამო“ თბ.	10	3	3	4	14-16	9
„მეტალისტი“	11	3	2	6	10-16	8
„ტორპედო“	11	1	5	5	4-9	7
„დინამო“ მ.	10	2	2	6	6-11	6
„არარატი“	11	1	2	8	11-24	4

ცვლილებები კალენდარში

ემასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის ოლიმპიურ ფეხბურთელთა ნაკრები 12 აგვისტოს მოსკოვში მიიღებს ნორვეგიის გუნდს, ცვლილებები მოხდა საკავშირო ჩემპიონატის კალენდარში. თბილისისა და მოსკოვის დინამოელებს თბილისში უნდა ეთამაშათ 11 აგვისტოს, ეს მატჩი გადმოტანილია უფრო ახლოს, 27 ივნისის სარეზერვო დღეს. მოსკოვის „ტორპედო“ და ლენინგრადის „ზენიტი“ ასევე 27 ივნისს შეხვდებიან ერთმანეთს 10 აგვისტოს ნაცვლად.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

მხოლოდ საჯარიმოებით...

დასასრული

„ლოკომოტივისა“ და „შევარდენის“ მატჩში იმდენი რამ იყო ალეგიკური, რომ იგი მხილველს უთუოდ საგონებელში ჩააგდებდა. თამაშის თითქმის ყველა კომპონენტში „ლოკომოტივი“ მთელი თავით მაღლა აღმოჩნდა „შევარდენზე“ (არადა, სულ რაღაც ნახევარი წლის წინათ გუნდები ოსტატობის მხრივ ერთ დონეზე იდგნენ), მაგრამ ამ მოპოვებული უპირატესობის მიუხედავად გუნდმა მხოლოდ ძალთა უკიდურესი დაძაბვის ხარჯზე გაიმარჯვა და ერთი ლეღლოც კი ვერ გაიტანა.

მეტოქეებმა ყველა ქულა საჯარიმოების შეგდებით მოიპოვეს. რაკიღა თამაშის სადავეები „ლოკომოტივს“ ეპყრა, მეტწილად „შევარდენი“ ჯარიმდებოდა და ლეჟავამ 7 ცდიდან 4-ჯერ მიაღწია მიზანს. დამარცხებული გუნდის წევრთაგან კი თავი ახალბედა დემირ ძნელაძემ გამოიჩინა.

სათამაშო დროის 70 წუთი გუნდებმა „შევარდენის“ ნახევარზე გაატარეს. რკინიგზელთა მორკინალები მეტოქეს სტატიკურ სიტუაციებშიც ჯობნიდნენ და ღია თამაშშიც, ამიტომ ბურთს ერთთავად „ლოკომოტივი“ ფლობდა. მიუხედავად ამისა, რკინიგზელთა შეტევებს აშკარად აკლდა სიმწვავე და ორგანიზებულობა. „შევარდენი“, ავად თუ კარგად, ემკლავდებოდა „ლოკომოტივის“ მოიერიშეთა პირველ ტალღას, მაგრამ შეტევის შეფერხების შემდეგ „ლოკომოტივის“ რეგბისტები გადაჯგუფებას ავვიანებდნენ და ახლადწამოწყებული იერიში ფერხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გუნდი ბურთს ხშირად ფლობდა, „ლოკომოტივის“ ფრთის სამმეოთხედელები იშვიათად ერთვებოდნენ თამაშში. მიზეზი ის იყო, რომ მესამე ხაზის მორკინალებმა ლამის თვითმიზნად გაიხადეს მოგებული შერკინებიდან შეტევა. სცოდავდა თავისუფალი ნახევარმცველიც, მოისუსტებდა სამმეოთხედელთა უკუკავშირიც მორკინალებთან, რომელთაც, საკუთარი ინიციატივით დაწყებულ იერიშებში გართულთ, სამმეოთხედელთა დასახმარებლად არ ეცალათ.



რაც შეეხება დამარცხებულ გუნდს, მის პოტენციალზე მსჯელობა გვიძნელდება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ შევარდენელებს თითქმის არ მისცემიათ შეტევის შესაძლებლობა. ბრძოლით მოპოვებულ ბურთს ისინი ხან აუტში იგერიებდნენ, ხანაც საკუთარი კარის ხაზიდან ავანტიურისტულ იერიშებს იწყებდნენ, რასაც „ლოკომოტივი“ უმალვე ახშობდა. ერთი სიტყვით, „შევარდენის“ მიერ წელს თბილისში ჩატარებული შეხვედრებიდან ყველაზე უფერული ტრადიციულ მეტოქესთან გამართული მატჩი გამოდგა.

ზაალ გიგინეიშვილი.



დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე ღიაა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სპორტული დარბაზის კარი. ზოგს შეხვენებაზე ბავშვებიც მოჰყავს. დღეში აქ 50-60 სპორტის მოყვარული ვარჯიშობს, მათი რიცხვი უახლოეს ხანში ორ-სამჯერ მაინც გაიზრდება — გაიხსნება მაგიდის ჩოგბურთის, ჭიდაობისა და აერობიკის ჯგუფები.

სურათზე: გამომცემლობის მუშაკები შეხვენებაზე სპორტულ დარბაზში.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

მოკრივეთა პრიზები

ახლა ხშირად ტარდება ჰაბუკთა და იუნიორ სპორტსმენთა ასპარეზობები. წელს რიგის ახალგაზრდა ოსტატებს კიდევ ელით სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრება — მათ შორის სპორტსკოლების აღსაზრდელთა საკავშირო თამაშები და მსოფლიო პირველობა, რომელსაც თავისუფლების კუნძული უმასპინძლებს. მანამდე რამდენიმე მემორიალი—ასპარეზობა გაიმართება. ერთ-ერთ ასეთ საკავშირო შეჯიბრებას ამ დღეებში ტაგანროგმა უმასპინძლა. რიგზე უფროსი ასაკის მოზარდები გამოვიდნენ. ეს შეჯიბრება ს. მოსტაველენკოს ხსოვნას მიეძღვნა. პირველობისთვის ჩვენი ქვეყნის 140 ახალგაზრდა ოსტატი, მათ შორის ყაზახეთის, რსფსრ-ის, უკრაინის, სომხეთისა და ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები იბრძოდნენ.

შესანიშნავად გამოვიდნენ საქართველოს „ბურევესტნიკის“ ბავშთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის კრივის სპეციალიზებული სპორტსკოლის აღსაზრდელები (დირექტორი დავით ქავთარაძე). მემორიალის ოქროს medlebi დაიმსახურეს ტყიბულელმა ალეკო პატარიძემ (81 კგ) და თბილისელმა მოკრივეებმა ელდარ ალოიანმა (60) და ნამო ბიტკაშმა (67). ალოიანს ერგო აგრეთვე სპეციალური პრიზი — საუკეთესო ტექნიკისთვის.

მეორე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ რობერტ აშიანი (67), ემზარ ელისაშვილი (71) და არტურ საღატელიანი (75), მესამე ადგილი დაისაკუთრეს ტყიბულელმა ელდარ დაჩიბერიძემ (51), თბილისელებმა ნიკა ავალიშვილმა (60) და ლერი შეთეკაურმა (63,5). შეჯიბრებისათვის გუნდი მომამზადეს მწვრთნელებმა: სპორტის ოსტატმა მურმან თაქთაქიშვილმა და თამაზ ქართველიშვილმა.

მსოფლიო რეკორდები

მოსკოვში კრილატსკოეს ოლიმპიურ ტრეკზე საკავშირო თასის გათამაშება სამი მსოფლიო რეკორდით აღინიშნა. ერთი რეკორდი ტალინელმა ერიკა სალუმიაემ 200 მეტრზე ციტში (სვლით) დაამყარა — 11,373. მეორე რეკორდის (ოლონდ იუნიორთა შორის) ავტორი ერევნელი გევორგ კეპიკიანი გახლდათ (ამავე დისტანციაზე) — 10,793, მაგრამ სულ მალე ეს მიღწევა ლვოველმა ევგენი დოროფეევმა გააუმჯობესა — 10,615 (ძველი რეკორდი ფრანგ ფრედერიკ მანიუს ეკუთვნოდა — 10,855).

1000 მეტრზე ციტში ვაჟთა შორის მოსკოველმა კონსტანტინე ხრაბცოვმა გაიმარჯვა — 1.04,189. მეორე ადგილზე რიგელი ულდის ბრძანისი გავიდა — 1.04,676, მესამეზე — აშხაბადელი ვლადიმერ სულთანოვი — 1.04,949.

კვირას, 31 მაისს

თბილისის სპორტის სახახლეში ჩატარდება ქართულ ჭიდაობაში სოფლებისა და ქალაქების უბნების რესპუბლიკური პირველობის ფინალური შეხვედრები, რომლის ორგანიზატორები არიან საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სპორტახალგაზრდული სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო. ერთმანეთს ხვდებიან: სოფელი ვაჟა (ხაშურის რაიონი) — ცხისუბანი (ქ. გორი) — მესამე ადგილისთვის; სოფელი ქისტაური (ახმეტის რაიონი) — სოფელი მარტყოფი (გარდაბნის რაიონი) პირველი ადგილისთვის.

დასაწყისი 16 საათზე.

გიწვევთ რიყეზე!

კვირას, დილის 10-დან 14 საათამდე ძველ თბილისში, რიყის ტერიტორიაზე, გაიმართება სპორტული ზეიმი. შეჯიბრებები მოეწყობა სპორტის ეროვნულ სახეობებში — ლახტში (თბილისის უბნების ჩემპიონატი), ქართულ ჭიდაობაში, საჯილდაო ქვის აწევაში, ყაბახზე შუბის სროლაში.

გაიმართება აგრეთვე რიყის თასის გათამაშება სქეითბორდში, მაგიდის ჩოგბურთში, სროლაში.

იმუშავებს სპორტული აუქციონი. ყველა ღონისძიებას მოემსახურება ახალშექმნილი ახალგაზრდული სპორტული კოოპერატივი.

კომკავშირის საქალაქო კომიტეტი.

სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 30 მაისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონის სათადარიგო მინდორი. **ახალგაზრდული ხაფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „დინამო“ (ზუგდიდი).** დასაწყისი 12 ს. **31 მაისი.** „დინამოს“ ბაზა დიღომში. **„იმედი“-„დინამო“-2 (თბილისი)—„სულორი“ (ვანი).** 18. ს.

ციხეერ ეკრანზე...

ცენტრალური ტელევიზია. 30 მაისი. დილის დაჭურვა — **8.00 (1);** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **9.30 (2);** თბილისის საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში: სსრ კავშირი (ნაკრები) — აშშ (ნაკრები) — **21.15 (2).**

საქართველოს ტელევიზია. 30 მაისი. სპორტული ფილმების ფესტივალი — **12.25,** თბილისის საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში: სსრ კავშირი (ნაკრები) — აშშ (ნაკრები) — **21.20.**

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ მორიგი, 21-ე ტირაჟებისა.

„სპორტლოტო 6 45“-დან: გაიყიდა 772 348 ბარათი.

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო. 5 ციფრის გამოცნობისთვის (24 ბარათი) მოგება 2 467 მანეთია, ოთხისთვის (1820) — 38, სამისთვის (35045) — 3.

„სპორტლოტო — 5 36-“დან: გაიყიდა 7 446 638 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (22 ბარათი) მოგება 10 000 მანეთია, ოთხისთვის (4545) — 178, სამისთვის (171 639) — 7.

მოგებული თანხის განაღდება იწარმოებს 8 ივნისიდან 8 ივლისის ჩათვლით.

ფელეტონი — მკითხველი

ბურთი — ოთხკუთხა ... საერთაშორისო შეჯიბრების („როლან გარო“) მორიგ ტურში საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ანდრეი ჩესნოკოვმა ესპანელი თომას კარბონელია დაამარცხა — 6:2, 6:2, 6:0. მინსკელმა ნატალია ზვერევამაც მოიგო მომდევნო შეხვედრა. მან ფრანგი კატრინ სიუირი დაამარცხა — 6:7, 6:3, 6:0.

ბრატისლავა. ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელთა ნაკრებმა, რომელიც ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება, აქ საერთაშორისო ტურნირი მოიგო. დასკვნით მატჩში მან საბჭოთა კავშირის მეორე გუნდი დაამარცხა — 108:102 (54:46), ფრანგებმა უნგრეთის კალათბურთელებს აჯობეს — 98:83 (46:46). ჩეხოსლოვაკიის გუნდმა 3 გამარჯვებით პირველი ადგილი დაიკავა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ საფრანგეთი (2 გამარჯვება), სსრ კავშირი (1 გამარჯვება) და უნგრეთი (ყველა შეხვედრა წააგო).

ბელგრადი. გრძელდება იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი ძალოსნობაში. 52 და 56 კგ წონებში ოქროს medlebi ჩინელმა სპორტსმენებმა შო იუანფუმ (240 კგ) და ლიუ შოუბინმა (265 კგ) დაისაკუთრეს. 67,5 კგ-ში ჩემპიონი გახდა ლენინაკანელი ისრაილ მილიტოსიანი — 327,5 კგ.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

საქართველოს ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი აცხადებს მიღებას 1987 წლისათვის

ტექნიკუმის ქართულ და რუსულ სექტორებზე მიიღებიან 30 წლის ასაკამდე მოქალაქენი, რომელთაც აქვთ საშუალო და რვა კლასის განათლება.

სწავლის ვადა რვაკლასდამთავრებულთათვის — 3 წელი, საშუალო სკოლადამთავრებულთათვის — 2 წელი.

ტექნიკუმდამთავრებულს მიენიჭება ფიზიკური კულტურის მასწავლებლის კვალიფიკაცია.

ტექნიკუმში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ: სიმწიფის ატესტატი, მშდ ნიშნოსნის მოწმობა, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ცნობა მშობლების სამუშაო ადგილიდან, სამედიცინო ცნობა — ფორმა № 086, საკლასიფიკაციო ბილეთი, 6 ფოტოსურათი (3X4). პასპორტი, დაბადების მოწმობა და საბუთი სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ ტექნიკუმში შემსვლელმა უნდა წარმოადგინოს პირადად.

განცხადებები მიიღება 1 ივლისიდან და შეწყდება გამოცდის დაწყებამდე ერთი დღით ადრე.

მისაღები გამოცდები ტარდება: რვაკლასდამთავრებულთათვის 4-13 აგვისტომდე, საშუალო სკოლადამთავრებულთათვის — 15-23 აგვისტომდე. ტექნიკუმში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს ჩააბარებენ სპორტის არჩეულ სახეობაში და საერთო ფიზიკურ მომზადებაში.

გარდა ამისა, რვაკლასდამთავრებულები: მათემატიკაში (ზეპირი), მშობლიურ ენაში (კარნახი).

საშუალო სკოლადამთავრებულები: სსრკ ისტორიაში (ზეპირი), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (თხზულება).

სსრკ სპორტის ოსტატები თავისუფლდებიან გამოცდებიდან სპორტულ დისციპლინებში.

ტექნიკუმში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილნი იქნებიან სტიპენდიით, საერთო საცხოვრებლით და ფორმით.

დამატებითი ცნობებისთვის მიმართეთ მიმღებ კომისიას.

ჩვენი მისამართია: თბილისი, კონსტიტუციის ქ. № 6, ტელ. 95-88-50, 95-30-06.

დირექცია.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„შერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

66435
ინდექსი:
ჩვენი

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06933